პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ივლისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 139 (9806) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ცნობები სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო შეჯიბრებებიდან

## საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

### ოქროს მედლები

⊙ **თავისუფალი ჭიდაობა — მალხაზ მხეიძე, ზვიად აბუსერიძე, ანატოლი ქაბასოვი, დავით ვაშაკიძე, ლაშა კაპანაძე, იოსებ უზუნაშვილი, დიმიტრი აბრამიშვილი, იგორ ბერაია.**

⊙ **ჩოგბურთი — მაკა წიწუაშვილი** (თბილისი) ერთეულთა თანრიგი.

### ვერცხლის მედალი

⊙ **ჩოგბურთი — ნინო ნუბაროვა, ირინა ბახტაძე** (ორივე — თბილისი) წყვილთა თანრიგი.

### ბრინჯაოს მედლები

⊙ **ჩოგბურთი — ნინო ნუბაროვა,** ერთეულთა თანრიგი; **მაკა წიწუაშვილი და ალიონა დაროვსკაია** (თბილისი) წყვილთა თანრიგი; **ზურაბ ბეშიტაშვილი და ალექსანდრე ეძგვერაძე** (ორივე — თბილისი) წყვილთა თანრიგი.

### პირველი ადგილი

**ჩოგბურთი — ნაქართველოს ნაკრები გუნდი.**

საჯაროობა

## ჩაებით საკითხის განხილვაში

**გარდაქმნა** გზას უხსნის მრავალ სიახლეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ფიზკულტურასა და სპორტში. შარშან შეიქმნა პროფკავშირთა ინებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში, მაგალითად, გააერთიანა „სპარტაკი“, „განთიადი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „ზენიტი“, „ლოკომოტივი“ და „ვოდნიკი“. მერე გაჩნდა იდეა სახელმწიფო, საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციების ურთიერთშერწყმის შესახებ და ჩვენი რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებში დადგენილებაც მიიღეს ამგვარი ექსპერიმენტის საშუალო რგოლში განხორციელების თაობაზე. რას გულისხმობს სიახლე? ამა თუ იმ რაიონში სპორტკომიტეტი, ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციები, მათ შორის შესაძლებელია დოსააფიც, გაერთიანდნენ ერთ ბირთვად და ერთიანი ძალით წარმართონ მუშაობა.

დღევანდელ საჯაროობის პირობებში შესაძლებლობა გვეძლევა ყველამ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ განვახორციელოთ ექსპერიმენტი, აქ ზოგად მოთხოვნებთან ერთად ალბათ გასათვალისწინებელია თვით რეგიონის თავისებურებებიც, ტრადიციები, სპორტული ბაზები და ა. შ. მზამზარეული რეცეპტის შემოთავაზება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მკითხველებს ვთხოვთ მონაწილეობა მიიღონ საკითხის საყოველთაო განხილვაში, მოგვაწოდეთ თქვენი წინადადებები, შენიშვნები, ისიც გვირჩიეთ, სად, ჩვენი რესპუბლიკის რომელ რაიონში უფრო მიგაჩნიათ შესაძლებლად ექსპერიმენტის განხორციელება და რატომ? ცხადია, სასაუბროდ ვიწვევთ სპეციალისტებსაც.

ველით თქვენს წერილებს.

## დიდოსტატ ვაჟთა ტურნირში

**შვეიცარიის** ქალაქ ბილში დაიწყო დიდოსტატ ვაჟთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც, სხვა უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც გამოდის. პირველ ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბორის გულკოსთან (აშშ).

## ახალი რეიტინგები

ფიდე-მ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგები 1988 წლის 1 ივლისისთვის. იგი ასე გამოიყურება:

**ქალები:** 1. მაია ჩიბურდანიძე — 2555, 2. ნანა იოსელიანი — 2495, 3. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2490, 4. ნონა გაფრინდაშვილი — 2455, 5. ელენა ახმილოვსკაია — 2430, 6. პია კრამლინგი (შვეცია) — 2425, 7-8. ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახამია — 2405-2405, 9-10. მარტა ლიტინსკაია, ანა ახშარუმოვა (აშშ) — 2400-2400... 14-16. ნინო გურიელი, ალისა მარიჩი (იუგოსლავია), იუდიტა პოლგარი (უნგრეთი) —2365-2365.

**ვაჟები:** 1. გარი კასპაროვი — 2760, 2. ანატოლი კარპოვი —2725, 3. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 2665, 4. ალექსანდრე ბელიავსკი — 2655, 5. ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 2645, 6. იან ტომანი (ჰოლანდია) — 2640, 7. ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 2635, 8-9. მიხეილ გურევიჩი, ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 2630-2630, 10-13. ვასილი ივანჩუკი, ვალერი სალოვი, ულფ ანდერსონი (შვეცია), ჯონ ნანი (ინგლისი) — 2625-2625.

ელვა-ინფორმაცია

**ივანოვ-ფრანკოვსკში მიმდინარე სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის IX ტურში გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა დაამარცხა რიგელი ნატალია ერნესტე, დააგროვა 7 ქულა და დაეწია ლიდერს — ალმაათელ საერთაშორისო ოსტატ ფლორა უსკოვას. უსკოვა ამ დღეს დაუზავდა კიშინიოველ მარინა შერემეტიევას.**

## 100-ზე მეტი ქულით



საქართველოს მოსწავლე ჩოგბურთელთა გუნდი.

**ლვოვი.** ჩოგბურთელთა ტურნირში, რომელშიც გამოდიოდნენ 11-12 წლის ბიჭუნები და გოგონები, საქართველოს წარგზავნილებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. რომ არაფერი ვთქვათ საპრიზო ადგილებზე (ერთი ოქროს, ერთი — ვერცხლისა და სამი — ბრინჯაოს მედალი), ჩვენმა ნორჩმა ჩოგბურთელებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და მთავარ კონკურენტებს დიდი უპირატესობით აჯობეს. II გუნდური ადგილი ლატვიის ნაკრებმა დაიკავა, III — ყაზახეთის გუნდმა. განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო გოგონათა გამარჯვება, რომლებმაც უახლოეს მდევარს 100-ზე მეტი ქულით გაუსწრეს.

საინტერესოა ერთი დეტალიც: თექვსმეტ უძლიერესს შორის, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ, ერთეულთა თანრიგში რესპუბლიკის შვიდი ჩოგბურთელი მოხვდა. მედალოსნების შესახებ ზემოთ მოგახსენეთ. დანარჩენებმაც ასეთი შედეგები აჩვენეს: ირინა ბახტაძე — V ადგილი, ალიონა დაროვსკაია — X, ზურაბ ბეშიტაშვილი — V, ალექსანდრე ეძგვერაძე — X, გიორგი ქანთარია — XII. ამათ გარდა გიორგი ქანთარიასა და ვლადიმერ მარგალიტაძის წყვილმა V ადგილი დაიკავა.

**შრუნზე.** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში საქართველოს ნორჩმა სპორტსმენებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ზემოჩამოთვლილი რვა ჩემპიონის გარდა ჩვენს ნაკრებში თავი გამოიჩინეს კენჭოშვილმა (დაიკავა II ადგილი) და ბარბაქაძემ (ბრინჯაოს მედალი).

## ნინო ფილია— პირველი ლაურეატი

**პანევეჟისში** ლენინური კომკავშირის 70-ე წლისთავს მიეძღვნა I ფესტივალი ჭადრაკში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 14 ქალაქის 24 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება გუნდური იყო, მაგრამ გუნდის წევრთა ინდივიდუალური შედეგები ცალკეც იანგარიშებოდა. სულ ორი ტურნირი ჩატარდა — ქალთა (26 მონაწილე) და ვაჟთა (88). შეჯიბრებები შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად მოეწყო. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას თბილისის უმაღლესი დოსტატების № 1 სკოლის გუნდი იცავდა (ოსტატობის კანდიდატები ნინო ფილია, ოთარ თურქესტანიშვილი, ბექა კვარაცხელია და დათო დაბრუნდაშვილი). ჩვენმა მოჭადრაკეებმა 44 შესაძლებლიდან 27 ქულა მოაგროვეს და IV-V ადგილები გაიყვეს მოსკოვის ერთ-ერთ გუნდთან (სულ დედაქალაქის 9 გუნდი იყო წარმოდგენილი).

ქალთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აღმოაჩნდა ნინო ფილიას, რომელმაც დაუმარცხებლად (სხვათა შორის, ნინო ერთადერთი იყო ამ ტურნირზე, რომელსაც პარტია არ წაუგია) განვლო მთელი დისტანცია და 11-დან 9 ქულა მოაგროვა. ვაჟთა შორის ჩვენი გუნდიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ოთარ თურქესტანიშვილს — 7 ქულა, ბექა კვარაცხელიას და დათო დაბრუნდაშვილს — 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას სარატოველებმა აჯობეს, II ადგილზე მოსკოვის გუნდი გავიდა, მესამე საფეხური მასპინძლებმა, პანევეჟისელმა მოჭადრაკეებმა დაიკავეს.

## 13 აგვისტოდან— 17 სექტემბრის ჩათვლით

**გუშინ** მოსკოვიდან მოვიდა საკავშირო სპორტსახკომის შემდეგი შინაარსის დეპეშა: **„მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურად სამეცადინოდ მოსახლეობის შემდგომი მიზიდვისათვის, მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, ფიზკულტურული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ურთიერთმოქმედების გაუმჯობესებისათვის 1988 წლიდან ჩატარდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის საკავშირო ერთობრივი. იგი დაიწყება 13 აგვისტოს, ფიზკულტურელის დღეს, და დამთავრდება 17 სექტემბერს, ამ დღეს, როცა გაიხსნება XXIV ოლიმპიადა. გამოიყენეთ ფიზკულტურის კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ერთობრივი ფიზკულტურის კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აქტივისტების მუშაობის მოწინავე, ნოვატორული გამოცდილების გასავრცელებლად, წარმოებაში, ყოველდღიურ ყოფაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის სასურველი პირობების შესაქმნელად“.**

მაშ ასე, ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ინერგება კიდევ ერთი სიახლე. აქედანვე აქტიურად ვემზადოთ ერთობრივის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

პროფკავშირების წარმომადგენელთა წარმატება

## ხუთი ძნელ დისტანციაზე

საერთაშორისო 30-კილომეტრიანი გარბენი გაზეთ „ტრუდის“ პრიზზე, რომელიც მოსკოვში ტარდება, პოპულარულ შეჯიბრებად ითვლება საბჭოთა და უცხოელ სტაიერებს შორის. წლევანდელ, რიგით 38-ე შეჯიბრებაშიც, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, მასპინძელთა გარდა ბევრი უცხოელი სპორტსმენი მონაწილეობდა.

საბჭოთა მძლეოსნები პირადი პირველობის გარდა ცალკე გუნდური პირველობისთვისაც იბრძოდნენ. მეორე ჯგუფში დიდი წარმატება მოიპოვეს საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა. ჩვენი რესპუბლიკის სტაიერებმა ყველა შეტოქე ჩამოიტოვეს, მათ შორის ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც არიან ლატვიის, ესტონეთის, უზბეკეთის, მოლდავეთისა და სხვა ნაკრები გუნდები. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ვალერი გედევანიშვილი, შალვა ნადირაძე, სპირიდონ ვალიშვილი, ლამზირა კაპანაძე და სურაია მირზოევა. მათგან პირად პირველობაში საუკეთესო იყო გედევანიშვილი (XIX ადგილი).

30 კილომეტრი საკმაოდ რთული დისტანციაა და ასეთი წარმატება საკმაოდ იშვიათია ჩვენი მძლეოსნებისთვის.

## გამარჯვებაც, ოსტატობაც

პირველი გამოცდა საერთაშორისო სარბიელზე

**სოციალისტური** ქვეყნების სპორტსმენთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო ტურნირი „დრუჟბა“, რომლის პროგრამით ამას წინათ კიშინიოვში გაიმართა წყალბურთელთა შეჯიბრება (1971 წელს დაბადებულ სპორტსმენთათვის). საუკეთესოდ იასპარეზა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო უნგრეთის, ხოლო მესამე — კუბის გუნდი.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ საქართველოს ჭაბუკთა გუნდის წევრები დავით ბურდული და ზვიად დავითიანი. მათ დიდი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებაში. გუნდის წევრებმა ამ წარმატებით სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულეს.

სხვათა შორის, საერთაშორისო სარბიელზე ეს ბურდულისა და დავითიანის პირველი გამოცდა იყო. მათ სულ ცოტა ხანში კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელით, წინაა ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშები.

ინფორმაცია

**ინდიანაპოლისი.** აშშ-ს მძლეოსანთა ოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებაში ადგილობრივი სპორტსმენები კვლავ შესანიშნავ შედეგებს აჩვენებენ. ოთხი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი კარლ ლუისი სიგრძეზე 876 სანტიმეტრზე გადახტა. გამარჯვებულს მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამორჩა 30 წლის ლარი მირიკსი. 400 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი ედვინ მოზესმა დაიკავა — 47,37. სამაღლეზე ხტომაში ჯიმ ჰოვარდმა 234 სმ აჩვენა.

**ლოს-ანჯელესი.** აქ გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 17 წლის სილვია პოლმა (კოსტა-რიკა) პირველი ადგილები დაიკავა 50, 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად აჩვენა 26,42; 56,09 და 2.00,47).

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ-88 — ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲕᲬᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲡ

# ᲪᲐᲚᲭᲐᲚᲐᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ — ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲝ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘ

რა წვლილი შეაქვთ საქართველოს სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშების მოძრაობაში? ამ კითხვებზე „ლელოს“ ფურცლებზე პასუხები უკვე გასცეს „დინამოსა“ და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოების ხელმძღვანელებმა. ახლა ამავე საკითხზე ვესაუბრებით „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ამირან შენგელიას.

**● თუ გავიხსენებთ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს, ვნახავთ, რომ მათ წარმატებებში საქართველოს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლთა წვლილი ერთობ მოკრძალებულია. თუ არ ვცდებით, თავისუფალი სტილის ჭიდაობის მირიან ცალქალამანიძე იყო თქვენი საზოგადოების ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა და ჩემპიონიც გახდა.**

— დიახ, სამწუხაროდ, ცალქალამანიძე იყო ერთადერთი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში ესოდენ დიდი სიხარული მოგვიტანა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოლიმპიური თამაშების მოძრაობაში შედარებით მცირე წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკურ, არამედ სხვა რესპუბლიკურ და საერთოდ ცენტრალური საბჭოს სპორტსმენებსაც.

**● ეს რითი აიხსნება?**

— მოგეხსენებათ, „შრომითი რეზერვები“ ძირითადად მომავალი კვალიფიციურ მუშათა კადრების ფიზიკური აღზრდისთვისაა მოწოდებული. წინათ პროფტექნიკურ-განათლების სასწავლებლებში მოსწავლეები პროფესიას რამდენიმე თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ. ბუნებრივია, მათი სპორტული დაოსტატება ჩვენთან ამ ხნის განმავლობაში ვერ მოესწრებოდა. ამიტომ ჩვენ, ფაქტობრივად, ყურადღებას ფიზკულტურას ვუთმობდით. მერე ჩვენი სისტემის სასწავლებლებმა საშუალო-სპეციალური განათლების სასწავლებლების სტატუსი მიიღეს. ამის შემდეგ სწავლის პერიოდი 3-4 წლამდეც კი გაიზარდა, რამაც საშუალება მოგვცა სპორტული მუშაობა გამოგვეცოცხლებინა. ამას ხელი შეუწყო თბილისში აგებულმა ჩვენმა სპორტულმა კომპლექსმაც. ცალქალამანიძის შემდეგ ოლიმპიურ ნაკრებში პირველად კლასიკური სტილის მოჭიდავე თემურ ყაზარაშვილი მოხვდა. სამწუხაროდ, მაშინ, ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა დელეგაცია არ გამოვიდა და ჩვენმა მსოფლიო ჩემპიონმა თავისი სპორტული კარიერაც ისე დაამთავრა, ოლიმპიური მედლისათვის ბრძოლის შანსიც არ მიეცა.

**● „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოდან დღეს ვინ არიან ოლიმპიური გუნდების კანდიდატები?**

— ყველაზე რეალური კანდიდატი ჩვენი სახელგანთქმული თავისუფალი სტილის მოჭიდავე, 24 წლის ლერი ხაბელოვია. შეგახსენებთ: ლერი 1985-1987 წლებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1986 წელს მსოფლიო თასი მოიგო, 1985-1987 წლებში და ამას წინათაც ევროპის ჩემპიონი გახდა. წლეულსვე მან მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. ეს ყველაფერი იმედს გვაძლევს, რომ ხაბელოვი სეულის ოლიმპიური თამაშებიდან ოქროს მედლით დაგვიბრუნდება.

ახლა ხაბელოვი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებთან ერთად ალუშტაში შეკრებაზე იმყოფება.

წლეულს ოლიმპიური გუნდის კანდიდატები იყვნენ ჩვენი საზოგადოების მოკრივეები, ძმები რუდიკ და ალბერტ კაზანჯიანები, აგრეთვე მათი კოლეგა ხვიჩა ხდრიანი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორმა, 22 წლის ალბერტ კაზანჯიანმა (54 კგ) წელს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში I-II-III ადგილები დაიკავა, საკავშირო ჩემპიონატში III იყო და იგი ივნისამდე ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად ძალზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა. ივნისში ლენინგრადში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ალბერტმა ფინალამდე ჩინებულად გაიკაფა გზა — მეოთხედფინალში მსოფლიო თასის მფლობელი, კუბელი შარტინესიც კი დაამარცხა. სამწუხაროდ, ფინალში ლენინგრადელ ალექსანდრე არტემიევთან შეხვედრაში თავად დამარცხდა. მართალია, ამ ფრიად პრესტიჟულ ტურნირში დაკავებული მეორე ადგილი საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ფინალში დამარცხებამ მისი ოლიმპიური აქციები საკმაოდ შეარხია. ნაკრების ხელმძღვანელობას ახლა მის წონაში პირველ ნომრად სწორედ ის ლენინგრადელი სპორტსმენი მიაჩნია. რჩება მხოლოდ სეულში გამგზავრების თეორიული შანსი.

წლეულს ალბერტის ძმამ, რუდიკმა (48 კგ) და ხვიჩა ხდრიანმაც (54 კგ) რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინეს თავი, მაგრამ მათი შანსებიც შესუსტდა. ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა ოლიმპიური ნაკრების უფროს მწვრთნელს ლავროვს მიაჩნია, რომ რუდიკ კაზანჯიანი — შარშანდელი სკკვშირო ჩემპიონატისა და იუნიორთა შორის ევროპის პირველობის პრიზიორი — მომავალი ოლიმპიელია. იგი სტაბილურად 48 კილოგრამს იწონის და სხვებივით ნიადაგ წონის დაკლებას არ ცდილობს, რაც მას საკმაოდ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ანიჭებს.

**● გამოდის, რომ ოლიმპიურ ნაკრებში რეალურად „შრომითი რეზერვების“ ერთადერთი წარმომადგენელია. ეს ცოტა არ არის?**

— რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ ჩვენი და სხვათა სპორტსაზოგადოებების შესაძლებლობებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ? სანამ „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „განთიადი“, „ზენიტი“, „კოლმეურნე“ და „ვოდნიკი“ ერთ დიდ სპორტსაზოგადოებად გაერთიანდებოდნენ, მათ ცალ-ცალკე ოლიმპიური გუნდების კანდიდატებად ორ-ორ სპორტსმენზე მეტი არ ჰყავდათ. ასე რომ, ამ ფონზე ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, ალბათ, საგანგაშო სულაც არაა. საბოლოოდ ჩვენს მუშაობას მაინც სეულში მოპოვებული მედლებით შეაფასებენ და არა იქ გამოსული სპორტსმენების რაოდენობით.

**ჩაიწერა**
**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.**

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ: ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

# ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲗᲘᲚᲔᲑᲘ „ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲔᲨᲘ“

**თავის** მომსახურებას სთავაზობს ზესტაფონელებს რაიცენტრში გახსნილი სპორტულ-გამჯანსაღებელი კოოპერატივი „სიჭაბუკე“. მოსახლეობის მომსახურების უჩვეულო პროფილი პირველად არის გამოყენებული რაიონში. და მან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. სხვათა შორის, არა მარტო რაიცენტრში, არამედ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა შორისაც.

პატარა „ჯანმრთელობის ქალაქში“, რომელიც კოოპერატორებმა ჩრდილოეთ საკუთარი ხელით შექმნეს, ყველა საჭირო პირობაა ფიზკულტურასა და სპორტში გეგმაზომიერი მეცადინეობისათვის: აუზი, კორტები, კომბინირებული მოედანი მინი-ფეხბურთისა და კალათბურთის სათამაშოდ. კლიენტებს ემსახურება აგრეთვე სატრენაჟორო, სამასაჟო, დასვენების ოთახები, საუნა. და ყველაფერი ეს ნახევარ წელიწადში გაკეთდა.

— ამაში დაგვეხმარა, უწინარესად, რაიაღმასკომი, — ამბობს კოოპერატივის თავმჯდომარე გურამ ყიფშიძე, ამ ცოტა ხნის წინათ ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, ოპერატიულად გამოგვიყვეს შენობა, მოედნები, ხელი შეგვიწყეს საშენი მასალების მიღებაში, ტრანსპორტის, ტრენაჟორების შეძენაში. ახლა გამჯანსაღებელ ჯგუფებში ყოველდღიურად ოცდაათზე მეტი კაცი მეცადინეობს, მუშაობს ცურვის, ჩოგბურთის, სხვა სახეობათა სპორტის სექციები, დავძენ, რომ კოოპერატივის ყველა წევრს, ისინი კი ოთხნი არიან, სპეციალური ფიზკულტურული განათლება აქვს.

ამას წინათ კოოპერატივის საშტატო განრიგში გაჩნდა ვაკანსია. საშუშაოთა გაფართოების გამო გადაწყვეტილია მიმართონ ექიმის მომსახურებას.

— ექიმი აუცილებლად გვჭირდება, — განგვიმარტა გ. ყიფშიძემ. — ჩვენთან ხომ მოდიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები და შესაბამისად სხვადასხვანაირად მომზადებულნი. მუდმივი საექიმო კონტროლი დაგვეხმარება უფრო სწორად განვაგრძოთ ჩვენი მუშაობა, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინდივიდუალურად მივუდგეთ თითოეულ მათგანს.

**◎ როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა, და რით იზიდავს კლიენტებს დღეს თქვენი კოოპერატივი?**

— იმით, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს მათ ისწავლონ ცურვა, ჩოგბურთის თამაში, დაიკლონ წონაში და თავი დააღწიონ ისეთ მავნე ჩვევას, როგორიც თამბაქოს წევაა. სხვათა შორის, სპორტული ქალაქის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა კატეგორიულად აკრძალულია. რაც შეეხება განრიგს, „სიჭაბუკე“ პრაქტიკულად გახსნილია დილის ექვსი საათიდან გვიან საღამომდე. საღამოს საათებში მეცადინეობისათვის დადგმულია პროექტორები.

**◎ რა ღირს კოოპერატივის მომსახურება?**

— შედარებით იაფი: ერთი კაცი იხდის დაახლოებით ხუთ მანეთს. ვთქვათ, მაქსიმალურ ფასში შედის საუნა, მასაჟი... როცა საბონენტო სისტემას შემოვიღებთ, ფასს ჩამოვაკლებთ.

ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ სპორტულ-გამჯანსაღებელი კოოპერატივ „სიჭაბუკის“ მომსახურება ფართოვდება. მწყობრში ჩადგა ვიდეოდარბაზი, მოეწყობა პატარა ბაღი, სადაც მეცადინეობის შემდეგ შეიძლება დასვენება.

**ა.ᲛᲔᲠᲐᲑᲔᲚᲘ,**
**საინფორმის კორ.**

# SOS — ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ... ᲕᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲗ?

**დაუდევრობისა და საზოგადოებრივი დოვლათისადმი ბრული უპასუხისმგებლობების ფაქტზე გვექნება ჭეშმოთ საუბარი. მაგრამ ჯერ მცირე შესავალი: ეს იყო 1982 წელს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შეიძინეს უნიკალური სამაცივრო დანადგარები (უინულის კომპრესორები). ჩანაფიქრის ხორცშესხმას უნდა გადაეწყვიტა ჩვენს რესპუბლიკაში თუნდაც ერთი მატბაზე შეეჩერეს. მაშინ კუს ტბა ადმინისტრაციულად ლენინური კომკავშირის სახელობის საწყალოსნო კომპლექსში შედიოდა, დანადგარებმაც შეიცვალეს მისამართი — „მზიურიდან“ სანაპიროზე, სადაც ყველა აუზზე გადაიტანეს. იქვეა დღესაც...**

**რატომ არ გაშენდა კუს ტბაზე უინულის მოედანი, სადაც დღემდეა საამისოდ გამზადებული ერთ-ერთი (ბოლო) ტრახა? ამბობენ, ეკოლოგიური თვალსაზრისითო. „ამბობენ“. სად არის ოფიციალური დასკვნა? მეორეც — ეს დანადგარები ფრეონზე მუშაობენ და არა ამიაკზე. ფრეონი კი უსაფრთხოა ამიაკთან შედარებით. იქნებ ისევე დავუბრუნდეთ ამ საკითხს.**

**გამოუყენებლად ნუ გავანადგურებთ ეხლდენ საჭირო ინვენტარს. ჭერჭერობით ძვირფასი და უნიკალური დანადგარები, რომლის შეძენაზე რამდენიმე წელს დგანან რიგში შემკვეთი ორგანიზაციები, ჩვენთან ღია ცის ქვეშ ყრია და გაჩხეხავს ელოდება. როდემდე?**

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**



ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ

# ᲡᲐᲗᲐᲜᲯᲝᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ...

ახლახან პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს მიერ სათანჯოს მთაზე ჩატარებულმა ტურისტულმა ლაშქრობამ დაგვარწმუნა, რომ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა უმეტესი ნაწილი დღითი-დღე მეტ ინტერესს იჩენს ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისადმი.

ტურისტულ ლაშქრობაში, რომლის მარშრუტიც იყო: ზუგდიდი — სოფელი ჭუბურხინჯი — სათანჯოს მთა, 130-მდე კაცი მონაწილეობდა.

ლაშქრობის მონაწილეთა უმეტესობამ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები ხელყუმბარის ტყორცნაში, ღერძზე მიზიდვაში, ტურისტულ ლაშქრობაში.

საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს ასეთი მასობრივი ღონისძიებები სისტემატურად ჩაატაროს.

**ა. ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ,**
**ტურისტული კლუბის თავმჯდომარე.**

**თ. ᲜᲐᲠᲡᲘᲐ,**
**კლუბის ინსტრუქტორი.**

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲐᲓᲐ

# ᲞᲠᲘᲖᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲗᲔᲚᲡ ᲙᲝᲚᲔᲛᲘᲠᲜᲔᲚᲡ

თვეზე მეტ ხანს გასტანა მუშათა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა რაიონის პირველობამ ფეხბურთში სოფლის სპორტსმენთა შორის. ეს შეჯიბრება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ზესტაფონის რაიონულმა საბჭომ ჩაატარა. 18 კოლექტივიდან ნახევარფინალში გავიდნენ როდინოულის საბჭოთა მეურნეობის, ქვედა საზანოს, კვალითისა და კლდეეთის კოლმეურნე ფეხბურთელები. ფინალურ შეხვედრაში კვალითელებმა სძლიეს როდინოულელებს 2:1 და აგრომრეწვის მუშაკთა პროფკავშირების გარდამავალ თასსაც დაეუფლნენ.

მალე დაიწყება რაიონული თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კვალითის, როდინოულისა და ქვედა საზანოს საოფლო გუნდები.

**ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ.**

# ᲜᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ამ საბავშვო ბაღის ნორჩებსა და აღსაზრდელებს ხშირად უჩვენებიათ თავიანთი შემოქმედება სტუმრებისათვის. მაგრამ იმ დღეს სულ სხვა გამოცდა უწევდათ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტი ორჯონიკიძის რაიონის 75-ე ბაგა-ბაღში (გამგე მ. ნასუფაშვილი. მეთოდისტი ც. გოგოლაძე) მეორედ აწყობდა ლოგოპედიური ჯგუფის აღმზრდელის ც. თავამაიშვილის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას თემაზე: სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური წრთობის ფორმები და საშუალებები.

ღია გაკვეთილმა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**ᲡᲔᲠᲒᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

**ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ** უმშვენიერესი დასახლება საბერიო მრავალ სპორტის მოყვარულს იზიდავს კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსით, საცურაო აუზითა და ა. შ. ამჯერად დასახლების № 2 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ზონალური შეჯიბრება კალათბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ საბერიოს I, II, სოფელ ნარინჯოვანისა და გალის № 4 საშუალო სკოლების მოზარდი სპორტსმენები.

პირველ ადგილზე გალის № 4 საშუალო სკოლის ჯაბუკი კალათბურთელები გავიდნენ.

ლამაზი თამაში უჩვენეს კალათბურთის გულშემატკივრებს საბერიოს № 2 საშუალო სკოლის გოგონებმა, რომლებმაც შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავეს.

**ᲘᲐᲛᲚᲘᲫᲔ, ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის სარეზერვო დღეებში გაიმართა რამდენიმე კალენდარული მატჩი.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „უალგარისი“ 0:0.**

ჩერნოვცელმა მსაჯმა პ. კობიჩაკმა ამ მატჩში გააფრთხილა „უალგარისის“ ფეხბურთელები კვალიუნასი, იაკუბაუსკასი, ნარბეკოვასი, პანკრატიევი, ბრიდაიტისი.

დუბლიორები — 2:0.

**„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ 2:2 (1:0). გოლები:** რუსიაევი–2 („ლოკომოტივი“), როდიონოვი, შალიმოვი („სპარტაკი“). აღსანიშნავია, რომ სპარტაკელებმა ეს ორივე ბურთი გაიტანეს 88–ე და 90–ე წუთებზე.

გააფრთხილეს ლოკომოტიველი ფეხბურთელები გალაკბერდიევი და გოლოვნია, აგრეთვე, სპარტაკელი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 2:2.

**„მეტალისტი“ — „დნეპრი“ 0:2 (0:0).** გოლები: ლიუტი, შახოვი („დნეპრი“).

გააფრთხილეს „მეტალისტის“ ფეხბურთელები ტარასოვი და სივუხა.

დუბლიორები — 1:2.

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩის სტატისტიკური მონაცემები კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის:

**კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 16 ივლისი. 20.000 მაყურებელი.**

**„დინამო“ (კიევი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0.**

**„დინამო“:** უიტკოვი, ბალი, ბალტაჩა (კორნეიცი, 46), კუზნეცოვი (გორილი, 46), დემიანენკო (პოგოდინი, 67), რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, შმატოვალენკო, ბელანოვი.

**„გურია“:** კვანტიკოვი, კაბისაშვილი, ანდღულაძე, დანელია (ჩადუნელი, 46), პარხომენკო, ცომაია, ყორდანია, ხლუსი, იავორსკი (ცხოვრებაშვილი, 78), ბარათაშვილი, გოგიჩაიშვილი.

**გოლები: ლიტოვჩენკო (18), მიხაილიჩენკო (29).**

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა გაიმართება 5 სექტემბერს.

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის XIX ტურის შეხვედრები: „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 5:1, „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ლორი“ (ქიროვაკანი) 1:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 0:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 2:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:2, „ისკრა“ (ერევანი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 2:1.

XX ტური. „მაშუკი“ — „ოლიმპია“ 4:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ლორი“ 3:1, „ცემენტი“ — „მერცხალი“ 1:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „კოლხეთი“ 4:1, „დინამო“ (სოხ.) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 3:2, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ვოლგარი“ 1:0, „ისკრა“ — „ურალანი“ 3:2.

**გათამაშების ცხრილი**

**III ზონა**

**მდგომარეობა 20 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ.“ ოქ. | 19 | 12 | 2 | 5 | 34–22 | 26 |
| „ტორპედო“ | 19 | 11 | 2 | 6 | 32–20 | 24 |
| „სპარ.“ ნჩ. | 19 | 10 | 3 | 6 | 29–20 | 23 |
| „ცემენტი“ | 17 | 8 | 6 | 3 | 23–16 | 22 |
| „კოლხეთი“ | 19 | 9 | 3 | 7 | 21–21 | 21 |
| „სპარტ.“ ტმ. | 19 | 10 | 0 | 9 | 28–32 | 20 |
| „მერცხალი“ | 19 | 9 | 2 | 8 | 23–22 | 20 |
| „ლოკომოტ“. | 18 | 8 | 4 | 6 | 23–17 | 20 |
| „დინამო“ ს. | 18 | 8 | 3 | 7 | 20–18 | 19 |
| „ლორი“ | 17 | 8 | 2 | 7 | 23–26 | 18 |
| „ლუჩი“ | 19 | 7 | 3 | 9 | 23–23 | 17 |
| „ისკრა“ | 19 | 7 | 3 | 9 | 20–35 | 17 |
| „მეტალურ.“ | 16 | 7 | 2 | 7 | 28–18 | 16 |
| „დრუჟბა“ | 18 | 7 | 2 | 9 | 22–18 | 16 |
| „ვოლგარი“ | 19 | 7 | 1 | 11 | 17–26 | 15 |
| „ურალანი“ | 18 | 6 | 3 | 9 | 28–27 | 15 |
| „ნარტი“ | 19 | 5 | 5 | 9 | 26–31 | 15 |
| „მაშუკი“ | 19 | 4 | 7 | 8 | 16–22 | 15 |
| „სპარტ.“ ან. | 17 | 6 | 1 | 10 | 19–27 | 13 |
| „ოლიმპია“ | 17 | 4 | 4 | 9 | 13–29 | 12 |

# სსრ კავშირის ნაკრებები ევროპის ჩემპიონატებში

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატებში სულ 63 მატჩი ჩაატარა. აქედან მისი გამარჯვებით დამთავრდა 36 თამაში, 15 ფრედ ითამაშა და 12 მატჩში მარცხი განიცადა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 107:51.

ამ 63 მატჩიდან 25 ჩატარებულია საკუთარ მინდორზე, 17 — მეტოქეთა მინდვრებზე და 11 — ნეიტრალურ სტადიონებზე.

**ევროპის** ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე სსრ კავშირის ნაკრებმა ჩაატარა 13 მატჩი, რომელთაგან 7 მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა და 4 წააგო. ბურთების შეფარდებაა 17:12.

**ევროპის** ჩემპიონატებში საბჭოთა ფეხბურთელები სულ 24 ქვეყნის გუნდებს შეხვდნენ. მოგვყავს მეტოქეებთან ჩატარებულ შეხვედრათა ნაერთი ცხრილი:

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 4—4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 9—7 |
| გდრ | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7—1 |
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3—0 |
| იტალია | 4 | 2 | 2 | 0 | 5—1 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3—4 |
| ისლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 |
| კიპროსი | 2 | 2 | 0 | 0 | 9—2 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5—0 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 5—1 |
| ჩრ. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 |
| თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3—1 |
| გფრ | 1 | 0 | 0 | 1 | 0—3 |
| ფინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 13—5 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 |
| შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 5—1 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 0 | 5—1 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 |

**საბჭოთა** ფეხბურთელებმა 28 მატჩი დაამთავრეს ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიუღიათ. მეკარეთაგან პირველ ადგილზეა რ. დასაევი, რომელმაც 11 მატჩში „მშრალად“ დაიცვა კარი.

**ევროპის** VIII ჩემპიონატში, შესარჩევი და ფინალური მატჩების ჩათვლით, სსრ კავშირის ნაკრებმა ზედიზედ 12 მატჩი ჩაატარა წაუგებლად.

**ევროპის** ჩემპიონატების მატჩებში ყველაზე მეტნი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები იყვნენ — 34. ნაკრებში მოსკოვის „დინამოს“ 28 ფეხბურთელი გამოდიოდა, შემდეგ მოდიან მოსკოვის „სპარტაკი“ (22), თბილისის „დინამო“ (15), ცსკა (12).

**ოქტეგ** ბერლინი ევროპის ჩემპიონატში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ფინალური ეტაპის მატჩებში არ დამარცხებულა. 3–3 ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა ლ. ბაშინმა (იგი ორჯერ გამოდიოდა ფინალურ ტურნირებში), ა. შესტერნიოვმა (2), ვ. კაპლიჩნიმ (2), ა. კონკოვმა (1), რ. დასაევმა (1), ლ. ბურიაკმა (1). ვ. ბესონოვმა (1).

**უველაზე** მეტი მატჩი ევროპის ჩემპიონატებში ჩაატარა ა. შესტერნიოვმა — 21, შემდეგ მოდიან ო. ბლოხინი — 20, რ. დასაევი — 20, მ. ხურცილავა — 15, ა. ბანიშევსკი (15), ე. რუდაკოვი (15), ვ. კოლოტოვი (15).

**სსრ კავშირის** ნაკრების შემადგენლობაში სულ 13 მეკარე გამოდიოდა, მათგან **საუკეთესო** მაჩვენებლები აქვს რ. დასაევს: 20 მატჩში 10 გაშვებული ბურთი. ე. რუდაკოვი — 15 (11) და ლ. იაშინი 10 (9).

## შევსება მოვიდა

**საქართველოს** პირველი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების გაძლიერებლად მეორე ლიგიდან გადაყვანილი არიან შემდეგი ფეხბურთელები: ვ. ჟვანია და გ. ჯოხაძე — ბათუმის „დინამოში“, გ. ჩადუნელი და თ. ცხოვრებაშვილი — ლანჩხუთის „გურიაში“.

ოთხივე ეს ფეხბურთელი პირველ ლიგაში მივლინებულია თბილისის „შევარდენი“–სპი–ს კოლექტივიდან.

## ავსტრალიის თასი — ბრაზილიის ნაკრებს

**დამთავრდა** ავსტრალიის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი. გათამაშების ფინალური მატჩი შედგა სიდნეიში, ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები.

ავსტრალიელმა ფეხბურთელებმა წინა შეხვედრა ანგარიშით 4:1 მოუგეს მსოფლიო ჩემპიონს არგენტინის ნაკრებს, რის შემდეგაც მათი აქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ბრაზილიელებმა კვლავ ცხადყვეს თავიანთი მაღალი კლასი, გადამწყვეტი მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:0 და ავსტრალიის შექმნის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირის მთავარი პრიზიც მოიპოვეს.

## 3. ხიდიატულინი „ტულუზაში“

**დაიწყო** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. „ტულუზამ“, სადაც ამჟამად გამოდის ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი ვაგიზ ხიდიატულინი, პირველი მატჩი გამართა პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე „რესინგ მატრასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

ფრანგული გაზეთების მიმომხილველებმა მაღალი შეფასება მისცეს ვ. ხიდიატულინის თამაშს, ხაზი გაუსვეს მის კარგ ტექნიკას და დამაჯერებელ მოქმედებას.

## გადასვლების სეზონი

ევროპის ქვეყნების ახალი საფეხბურთო ჩემპიონატების დაწყებამდე დარჩენილ დროს ფეხბურთელები კლუბიდან კლუბში და ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლისთვის იყენებენ.

### იტალია

● **ბურინის** „იუვენტუსმა“ 100 მილიონი ბელგიური ფრანკი (2,5 მილიონი დოლარი) გადაიხადა ბელგიის ნაკრებისა და „ბრიუგეს“ თავდამსხმელში შარკ დე გრიისში.

● **„პესკარაში“** მოთამაშე იუგოსლავიელი ბლაზ სლიშკოვიჩი გასულ სეზონში უცხოელ ფეხბურთელთა შორის საუკეთესოდ აღიარეს. ამის მიუხედავად სლიშკოვიჩს განზრახული აქვს საფრანგეთის „ნიცაში“ გადასვლა.

● **„ინტერისა“** და ქვეყნის ნაკრების ვეტერანი თავდამსხმელი ალესანდრო ალტობელი ამიერიდან „იუვენტუსში“ ითამაშებს.

● **ევროპის** ჩემპიონატის დაწყებამდე ვერონის „ჰელასის“ დანიელ თავდამსხმელზე ელკაიერ–ლარსენზე ბევრ კლუბს ეჭირა თვალი. მათ შორის: „ფიორენტინა“, ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“, საფრანგეთის რამდენიმე კლუბი და არგენტინის „რივერ პლეიტი“. კონტინენტის ჩემპიონატში დანიელთა კრახის შემდეგ ამ ინტერესმა მკვეთრად იკლო და ელკაიერი შვეიცარიის „ცსკა–ში“ ჩაირიცხა.

### ესპანეთი

● **მექსიკის** მსოფლიო ჩემპიონატში ტრავმის შემდეგ ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ უძლიერესი მცველი ანტონიო მასედა მოედანზე არ გამოსულა. მან რამდენჯერმე მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ექიმების მტკიცებით მასედა სულ მალე დაუბრუნდება თავის კლუბს.

● **„ბარსელონას“** ხელმძღვანელობამ გუნდის გაძლიერების მიზნით ქვეყნის ეროვნული ნაკრების ორი ფეხბურთელი შეიძინა. ესენია: თავდამსხმელი ბაკერო („სანსებასტიანი“) და შემტევი მცველი სოლერი („ესპანიოლი“).

### გფრ

● **ვიუნცენის** „ბაიერნს“ ერთბაშად ექვსი მოთამაშე სტოვებს — პფაფი, ბრემე, ედერი, მათეუსი, ჰიუზი და მიქაელ რუმენიგე. ამის მიუხედავად მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ოპტიმიზმს არ ჰკარგავს. საჩუქარი მეკარე აუმანი, მისი აზრით, არაფერში ჩამორჩება პფაფს, ალეგრელი მაჯერი თამამად შეძლებს ჰიუზის შეცვლას. გუნდმა უკვე შეიძინა ნორვეგიელი მცველი ერლანდ იოხანსონი, გფრ–ის ნაკრების თავდამსხმელი ტონი და „ნიურნბერგის“ ახალგაზრდა მოთამაშეები რეუტერი და გრაჰამერი.

● **პამგარგის** კლუბ „სენტ პაულის“ ღირსებას შობავალი წლიდან დაიცავს პოლონეთის ლიგაში უველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარებული ნახევარმცველი სტანისლავ ტერლეცკი.

● **შრანგუშურტის** „აინტრაჰტის“ უნგრელი ნახევარმცველი ლაიოშ დეტარი 1990 წლამდე დარჩება გუნდში. არადა, დეტარის გადაბირება სურთ ესპანეთის „ბარსელონას“ და იტალიის რამდენიმე კლუბს.

**(სპა. ინფ.)**

## საინსპექციო შემოწმებების შემდეგ

**1990 წლის** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორც ცნობილია, იტალიაში გაიმართება. უკვე დაადგინეს ის ქალაქები, სადაც თამაშები ჩატარდება. პირველი ჯგუფის მატჩები გაიმართება რომსა და ფლორენციაში, მეორე ჯგუფის გუნდები ითამაშებენ ნეაპოლსა და ბარიში, მესამისა — ტურინსა და გენუაში, მეოთხეში — მილანსა და ბოლონიაში, მეხუთესი — ვერონასა და უდინეზეში, ხოლო მეექვსისა — პალერმოსა და კალიარიში.

ასე განაწილდა ფინალის მონაწილე 24 გუნდი, მაგრამ მათგან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ორი — არგენტინა, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, და იტალია, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი. გათამაშების პირველი მატჩი 8 ივნისს შედგება მილანის სან–სიროს სტადიონზე, აქ გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონები. ფინალური მატჩი 8 ივლისს შედგება რომის ოლიმპიურ სტადიონზე. 1982 წლის (ესპანეთი) და 1986 წლის (მექსიკა) მსოფლიო ჩემპიონატებთან შედარებით ფინალური ეტაპის ხანგრძლივობა გაგრძელდება 2 დღით.

„იტალია–90“–ს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანკო კარერო და დირექტორი ლუკა დი მონტეზამოლო შეშფოთებული არიან იმით, რომ სამშენებლო სამუშაოები შენელდა, ამიტომაც მათ თხოვნით შემარათეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომ ჯერჯერობით ოფიციალურად არ გამოაცხადონ წინასწარი ჯგუფების მატჩების დღეები, რომლებიც 8–22 ივნისსაა დაგეგმილი. მერვედფინალურ, მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრათა დღეები 30 ნოემბრისთვის გამოცხადდება, მას შემდეგ, რაც ფეხბურთის საერთაშორისო კომისიის საინსპექციო ჯგუფები იტალიის ქალაქებში დაამთავრებენ საკონტროლო შემოწმებას.

კრიტიკა „შრომით რეზერვებში“

# პირველი შეჯიბრება, პირველი მედლები

**რვიდნი** ხუთი ჩვენი ნორჩი სპორტსმენი მედლებით დაგვბრუნდა ტალდი–კურგანიდან, სადაც „შრომითი რეზერვების“ მოკრივეთა ცენტრალური საბჭოს სპორტსკოლების პირველობა გაიმართა. ასპარეზობაში 25 გუნდის 1972–73 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

საქართველოს წარმომადგენელთაგან უველას აჯობებს თბილისელმა შალვა შამოიანმა (48 კგ) და ფოთელმა მამუკა აბესაძემ (50).

მესამე ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელი ონისე ნემსიწვერიძე (54), თბილისელი ჯულხა წოკლაური (66) და ფოთელი ზაზა სტელმახი (70).

გუნდურ პირველობაში დონეცკელებმა გაიმარჯვეს, ხოლო საქართველოს წარგზავნილებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენს გუნდს (სპორტსკოლის დირექტორი გურამ ხერხეულიძე) ამხადებდნენ მწვრთნელები მევლუდ ხარხუშვილი და თამაზ კუჭავა.

* * *

ნოვოსიბირსკში ძალას ცდიდნენ ამავე სპორტსაზოგადოების 1974–75 წლებში დაბადებული ჭაბუკები, რომლებიც თავიანთ პირველ საკავშირო ასპარეზობაში გამოდიოდნენ.

ასეთი ნორჩი მოკრივეებისთვის, მთელს ჩვენს ქვეყანაში, არანაირი შეჯიბრება არ ტარდება. გამონაკლისი მხოლოდ „შრომითი რეზერვებია“. ესეთ შეჯიბრებაში მხოლოდ ორ–ორი ბრძოლის ჩატარებაა დაშვებული და... ფრეც დასაშვებია.

მონაწილეებს ჯგუფებად ჰყოფენ და თითოეულ ჯგუფში გამარჯვებული საერთოდ ასპარეზობაში გამარჯვებულად ითვლება. ასე რომ, ყოველ წონითს კატეგორიაში ორ–ორი და სამ–სამი (გაჩნია მონაწილეთა რაოდენობას) გამარჯვებული ვლინდება. ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ ყველა ნორჩი მოკრივე ერთ–ერთი ხარისხის მედალს ეუფლება.

ამგვარ შეჯიბრებაში „შრომითი რეზერვების“ სახელით ხშირად გამოდიან თბილისის სახალხო გათლების წარმომადგენლებიც. ამჯერად განათლების სამმართველოს ოთხმა ნორჩმა მოკრივემ სამივე ხარისხის ჯილდოები მოიპოვა. უძლიერესის სახელი დაიკუთრა პაატა ქოჩორაშვილმა (46 კგ), მეორე იყო დავით კურტანიძე (50), მესამე — ლეონიდ დოლინსკი (42) და კახა აგლაძე (46).

თვით „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელთაგან გაიმარჯვეს თბილისელებმა ოლეგ ოლეგპეროვმა (34), გიორგი მელქონიანმა (36), გიორგი მანასიანმა (38), ძმებმა მალხაზ და რამაზ რაშოევებმა (ორივე — 40), თამაზ დრიანმა (48), არტიომ ხაჩატუროვმა (50), რომან ტკაჩენკომ (56), იური ამოევამა (60), ქუთაისელებმა ძმებმა ლევან (40) და კობა (48) გელენიძეებმა და თამაზ გოლეთიანმა (48).

გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გარი ხაჩატუროვმა, სპორტის ოსტატმა იური შეპეტკოვმა, ოლეგ სავინიხმა და გურამ ცხადაიამ.

**ნ. ხოშტარია.**

# ბათუმში შეხვედრამდე, მეგობრებო!

**ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბათუმელთა სამმა იალქნიანმა ნავმა გეზი აიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საკურორტო ქალაქ ვარნისაკენ. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს.**

ერთთვიანი განშორების შემდეგ ბათუმელი ზღვაოსნები სამშობლოში დაბრუნდნენ. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა ეკიპაჟთა საერთო ხელმძღვანელს ედნარ ქიქავას და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

**◎ სტარტის გახსნებით ხომ არ დაგვეწყო საუბარი?**

— ბულგარეთში მიგვიწვიეს ვარნის ტრადიციულ რეგატაზე, სადაც გიორგი დიმიტროვის სახელობის თასი თამაშდება. საბჭოთა აფროსნები ხშირად ასპარეზობენ ამ შეჯიბრებაში, მაგრამ საქართველოს წარმომადგენლებისთვის ეს დებიუტი იყო. დაგვეხმარა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომელმაც ყველაფრით უზრუნველყო ჩვენი მოგზაურობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმელი აფროსნები პირველად გავიდნენ გაშლილ ზღვაში.



**◎ ერთია სანაპირო აკვატორიაში ცურვა, სულ სხვაა გაშლილ ზღვაში ნაოსნობა. ხომ არ გაუპირდათ ეკიპაჟთა წევრებს?**

— ნაოსნობაში, მოგეხსენებათ, ოცდასამნი გავემგზავრეთ. უმეტესობა აფროსნობის მოყვარული იყო და სათანადო წრთობა არ ჰქონდა. ზღვამ ნამდვილი გამოცდა მოგვიწყო. მოგზაურობის მეორე დღესვე ქარიშხალი ამოვარდა, შტორმი იმდენად მძლავრობდა, იძულებული გაგვხადა ყოველ ნავს ინდივიდუალური გრაფიკით ემოქმედა. საბედნიეროდ, ეკიპაჟების უველა წევრმა ჰეშმარიტი ზღვაოსნის თვისებები და ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა, ეგაა რომ, ორი ნავი — „იბერია“ და „კორსარი“ 10 ივნისს, ნაოსნობის მეშვიდე დღეს ჩავიდნენ ვარნაში, ჩვენმა ნავმა — „აჭარამ“ კი ორი დღის შემდეგ ჩაუშვა ღუზა ვარნის იახტკლუბის აკვატორიაში.

**◎ ახლა ორიოდე სიტყვა ვარნის რეგატაზე .**

— დიმიტროვის თასის გათამაშება, მასპინძლების გარდა, მონაწილეობდნენ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის აფროსნები, სულ ასზე მეტი ეკიპაჟი. უველაზე მეტნი, სამოცამდე, ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდან — მოსკოვიდან, კიევიდან, ოდესიდან, სოჭიდან, ნოვოროსიისკიდან, გელენჯიკიდან, ქედანოვიდან იყვნენ, ვარნაში ხუმრობდნენ კიდეც: საბჭოთა კავშირის აფროსანთა ღია ჩემპიონატი ხომ არ ტარდებაო.

**◎ როგორ იასპარეზეთ თქვენ, ბათუმელებმა?**

— ცხადია, მაღალი ადგილების დაკავება არც გვიფიქრია. საქმე ის არის, რომ ჩვენი ნავები წლინდა საკრეისეროა, ესე იგი, უფრო მძიმეა და საასპარეზოდ ნაკლებმოსახერხებელი, ჩვენი მეტოქეები კი სარბოლო-საკრეისერო ნავებით გამოდიოდნენ.

შეჯიბრება სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი იყო ოლიმპიური დისტანცია ანუ ეგრეთ წოდებული სამკუთხედი, მეორე ვარნა-პომორიე, კალიაკრის კონცხის შემოვლით, მესამე — პომორიე — წმინდა ივანეს კუნძული — ვარნა. საბოლოოდ, „იბერიისა“ და „აჭარის“ ეკიპაჟებმა შესაბამისად მეექვსე-მეშვიდე ადგილები დაიკავეს, „კორსარი“ მეთორმეტე იყო. გაგვაბარა ჩვენი მეგობრების, „აფხაზეთის“ ეკიპაჟის წარმატებამ — სოხუმელებმა, რომელთაც ანატოლი ახუბა ხელმძღვანელობდა, თავიანთ კლასში პირველი ადგილი დაიკავეს.

**◎ კიდევ რას გაიხსენებდით, რა დაგამახსოვრდათ?**

— მასპინძელთა სტუმართმოყვარეობა, უცხოელ აფროსნებთან დამეგობრება. ძალზე საინტერესო იყო შეხვედრა ცნობილ ბულგარელ აფროსნებთან. უველაზე შთამბეჭდავი კი ის სიტყვები იყო, სამშობლოსკენ მომავლებს რომ მოგვძახოდნენ: ბათუმში შეხვედრამდე, მეგობრებო!

**◎ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სპასუხო შეხვედრა ბათუმში გაიმართება?**

— დიახ, ოღონდ შეჯიბრება არა. უბრალოდ, ბულგარელ აფროსნებს გადაწყვეტილი აქვთ იმოგზაურონ ვარნიდან ბათუმამდე. კეთილი, მობრძანდნენ — მასპინძლობა ჩვენზე იყოს!

**ლევან ქავთარაძე**
**(„ლელოს“ სპ. კორ.).**

ბათუმი.

## პირველად

**როგორც** ვიუწყებოდით, ბელორუსიის ქალაქ გროდნოში გამართულ „თეთრი ეტლის პრიზის“ გათამაშების მოჭადრაკეთა საკავშირო ფინალურ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზეს ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პირველად დაეუფლნენ საპატიო ჯილდოს. მარცხენა სურათზე, რომელიც მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა ვალერი ლევიტინმა გამოგვიგზავნა, გამარჯვებული გუნდის წევრები და მათი მწვრთნელია ალბუქდილი.

ასევე პირველად მოიპოვეს „გამარჯვების თასი“ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა (მარჯვენა ფოტო), რომლებიც ვოლგოგრადში ასპარეზობდნენ ტრადიციულ გუნდურ საკავშირო ფესტივალში.

დაგვეთანხმებით, ორივე წარმატება შემთხვევით არ შეიძლებოდა მოსულიყო. მას წინ უდევს მწვრთნელ-პედაგოგთა გეგმაზომიერი მუშაობა, ბავშვების მუყაითობა, რესპუბლიკის ჭადრაკის მესვეურთა ყოველდღიური ზრუნვა და ჰხარში დგომა, რაც მომავალი დიდი წარმატებების საწინდარიც არის.

## „ტურ დე ფრანსის“ ტრასებზე

**პარიზი.** ქალთა მრავალდღიანი ველოსპორტოლის მეშვიდე ეტაპი ჟანი ლონგომ (საფრანგეთი) მოიგო. მან რთული სამთო ეტაპის 57-კილომეტრიანი ტრასა 1:57.04-ში დაფარა. ფრანგი ველოსიპედისტი თავის უახლოეს მეტოქეს იტალიელ მარია კანისს 38 წამს უგებს, დანარჩენ მდევრებს კი 6 წუთითა და მეტით. საბჭოთა გუნდის წევრი ნადეჟდა კიბარდინა ეტაპზე მეხუთე იყო, საერთო ჩათვლაში კი იგი მეექვსე ადგილზეა.

ვაჟთა ანალოგიური რბოლის მეთოთხმეტე ეტაპი იტალიელ მასიმო ჯიროტოს გამარჯვებით აღინიშნა (163 კილომეტრი 4:30.34-ში დაფარა). თოთხმეტი ეტაპის შემდეგ საერთო ლიდერობას ესპანელი პედრო დელგადო ინარჩუნებს.

## მოკრივე დასტაქარი

**კრივს** მისდევდნენ და მისდევენ ნაირგვარი მოწოდებისა და პროფესიის ადამიანები — მწერლები, მხატვრები, მსახიობები, პოლიტიკური მოღვაწენი და, ასე განსაჯეთ, სასულიერო პირნიც. ახლახან კი ბულგარულმა ჟურნალმა „სტარტმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოთხრობილია ჭირურგი მოკრივის შესახებ. ეს წერილი ითარგმნა რუსულად და დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში“. ჩვენ მოვახდინეთ ამ ძალზე საინტერესო წერილის მონტაჟი და ვთარგმნეთ იგი, რათა გაგვეცნო კრივის ქართველ მოყვარულთა ფართო წრისთვის. ამ სტატიაში წარმოჩენილი პიროვნება არის ამერიკელი (წარმოშობით დუბლინელი), ნიუ-იორკის კლინიკის (შერატრიკ) ქირურგი ტერი კრისტელი, რომელიც ამავე დროს საშუალო წონის პროფესიონალი მოკრივეც გახლავთ. მისი სიმაღლეა 185 სმ, წონა — 75 კგ. მან ჩაატარა 16 ბრძოლა და უველა მოიგო. კრივისადმი სიყვარული კრისტელს გადმოჰყვა ოჯახური ტრადიციით. მამამისი, ჯო კრისტელი, დუბლინის სამართლის პროფესორი, ინგლისის ყოფილი ჩემპიონი იყო მოყვარულთა შორის. კრივს მისდევს ჭირურგი მოკრივის უფროსი ძმა მელი, პროფესიით ვეჭილი, უმცროსი ძმა ჯო კი, რომელიც შეისწავლის თეორიულ ფიზიკას, ტერისთან ერთად ირიცხება გუდ პეტრონელის ხელმძღვანელობით არსებულ პროფესიონალ მოკრივეთა ჯგუფში. თავად ტერი კრისტელი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს ტყავის ხელთამანის პროფესიონალ ოსტატთა შორის. იგი სწრაფია და მოქნილი. მისი დარტყმები კი მკვეთრი და ზუსტი. შარშან ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალის რედაქტორმა ჯორჯ ლუმბერგმა მის წინაალმდეგ გამოაქვეყნა ღია წერილი. იგი წერდა: „ჩემი თანამდებობა მავალდებულებს თქვენი ყურადღება მივაპყრო კოდექსს, რომელსაც უნდა იცნობდეს ყოველი კეთილსინდისიერი ექიმი. ყოველი წინასწარგანზრახული ზიანის მიყენება სხეულისთვის გვევლინება ამ კოდექსის დარღვევად. სპორტის ის სახეობა კი, რომელსაც თქვენ მისდევთ, ისახავს სწორედ ამ მიზანს“. ამაზე კრისტელმა უპასუხა: „ჩემთან ბრძოლა ძალზე მოსახერხებელია მეტოქისთვის, რადგან მოკრივის აღჭურვილობასთან ერთად მუდამ თან დამაქვს სანიტრის ჩანთაც. თუკი მოწინააღმდეგეს ზიანს მივაყენებ, მყის შემძლია დახმარების აღმოჩენა. 1960 წელს ხომ მე თავად გავუკერე გლაზგოში უეტს ოგრეილის გაბეთქილი წარბი და ტუჩი და შევუჩერე ცხვირიდან სისხლის დენა“. ამაზე რედაქტორმა იქედნურად შენიშნა: „კეთილი, მაგრამ თქვენს საკუთარ თავზე რაღას იტყვით, შეგიძლიათ კი თითები საღსალამათად დაინარჩუნოთ, შესძლებთ სკალპელის დაჭერას?“ ტერი კრისტელს თავდაც კარგად ესმის, რა რთულ ვითარებაშია მოხვედრილი. ცდილობს ყურადღებით იყოს მეტოქისადმი და თითებზე საგულდაგულოდ იხვევს ბინტს. მიუხედავად ამისა, ის მაინც დგას დიდი საფრთხის წინაშე, რადგან მოკრივეებს ხშირად ემსხვრევათ თითები. ტერი კრისტელი ფრიად განათლებული კაცია. დამთავრებული აქვს სამეფო მუსიკალური აკადემია, შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე. იგი დაჯილდოებულია აქტიორული ნიჭითაც, ძალზე კარგად კითხულობს შექსპირისა და ირლანდიელი პოეტების ლექსებს.

**ედიშერ ბიორგაძე.**

## ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**შტუტგარტი.** 18 წლის ანდრე აგასი ამერიკული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება და არც თუ უსაფუძვლოდ. წლევანდელი უმაღლოსის ტურნირი. მან მწვრთნელის დაჟინებითი მოთხოვნით გამოტოვა, ამ დღეებში კი მონაწილეობა მიიღო „გრან-პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში და წარმატებასაც მიაღწია — ნახევარფინალში ადვილად დაამარცხა ფრანგი ანრი ლეკონტი (7:5, 7:5), ფინალში კი ეკვადორელ ანდრეს გომეშს (6:4, 6:2) აჯობა.

ამ წარმატების შემდეგ 18 ივლისს გამოქვეყნებულ მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში აგასი მეხუთე ადგილზე გადავიდა ივან ლენდლის, სტეფან ედბერგის, მთის ვილანდერისა და ბორის ბეკერის შემდეგ. ანდრეი ჩესნოკოვი ამ სიაში მეთექვსმეტე ადგილზეა, ნატაშა ზვერევა და ლარისა სავჩენკო კი (ქალთა კლასიფიკაციაში) შესაბამისად მერვე და მეთვრამეტე ადგილებზე.

**იუგოსლავია.** ამ კვირას გაიმართება დევისის თასის გათამაშების ევროპული შეხვედრა ევროპის ზონის „ბ“ ფინალში, სადაც საბჭოთა ჩოგბურთელები ჰოლანდიელებს უმასპინძლებენ. წარმატების შემთხვევაში ჩვენი გუნდი გაისად 16 უძლიერეს კოლექტივს შორის იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის.

## ციხვერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 20 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ცხენოსნობა: როსტოვის დიდი სტიპლ-ჩეიზი (გადაცემა როსტოვიდან) — **20.15 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **21.45 (2).**

რედაქტორი
**თ. ბაჩვჩილაძე.**

გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი „შევარდენი“

20 ივლისი

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის თასი

მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩი

**„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ძალვირისი“ (ვილნიუსი)**

დასაწყისი 19 საათზე.

თასის ამ მატჩზე გათამაშდება სპორტული ლატარია.

## I ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში შედგა 22-ე ტურის ბოლო ორი მატჩი: „კუზბასი“ (კემეროვო) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, ცსკა — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:2.

**ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

**მდგომარეობა 20 ივლისისთვის**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 21 | 14 | 5 | 2 | 43–20 | 33 |
| „დინამო“ სტ. | 21 | 12 | 7 | 2 | 33–15 | 31 |
| ასკ რ. | 21 | 11 | 4 | 6 | 29–25 | 26 |
| ცსკა | 21 | 10 | 6 | 5 | 28–17 | 26 |
| „როტორი“ | 21 | 11 | 2 | 8 | 33–23 | 24 |
| „გეოლოგი“ | 21 | 10 | 3 | 8 | 24–29 | 23 |
| „როსტსელ.“ | 21 | 9 | 5 | 7 | 32–31 | 23 |
| „ფახთაქ.“ | 21 | 8 | 7 | 6 | 27–20 | 23 |
| ასკ „კარ.“ | 21 | 9 | 4 | 8 | 31–19 | 22 |
| „გურია“ | 20 | 9 | 3 | 8 | 27–25 | 21 |
| „კოტაიკი“ | 21 | 9 | 3 | 9 | 28–37 | 21 |
| „ტავრია“ | 21 | 6 | 9 | 6 | 20–17 | 21 |
| „სპარტაკი“ | 21 | 8 | 4 | 9 | 35–36 | 20 |
| „დაუგავა“ | 21 | 7 | 6 | 8 | 27–26 | 20 |
| „შინიკი“ | 21 | 7 | 5 | 9 | 19–23 | 19 |
| „კუზბასი“ | 21 | 6 | 7 | 8 | 15–22 | 19 |
| „ზარია“ | 21 | 6 | 5 | 10 | 27–31 | 17 |
| „კოლოსი“ | 21 | 6 | 5 | 10 | 16–24 | 17 |
| „უუბანი“ | 21 | 6 | 3 | 12 | 20–32 | 15 |
| „მეტალურგი“ | 21 | 4 | 6 | 11 | 13–26 | 14 |
| „ზვეზდა“ | 20 | 3 | 7 | 10 | 17–34 | 13 |
| „დინამო“ ბ. | 21 | 5 | 2 | 14 | 16–28 | 12 |

## ინფორმაცია

**ანკარა.** ბალკანეთის მძლეოსანთა თამაშებში რუმინელმა ვალი იონესკუმ სიგრძეზე ხტომაში 7 მეტრი დასძლია. მისმა თანამემამულემ დანიელა კოსტიანმა კი უველას აჯობა ბადროს ტყორცნაში — 70 მ. 20 სმ.

**ციურიხი.** ტყუპისცალებმა სარა და კარენ ჯოზეფსონებმა სინქრონულ ცურვაში შეეიცარიის ღია პირველობაზე გამარჯვება მოიპოვეს — 199,067 ქულა.

**ცნობილი** გახდა, რომ სეულის ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ივან ლენდლი. ამის მიუხედავად სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ შეჯიბრება საინტერესო იქნება. სეულში გამოსვლაზე ოფიციალური თანხმობა განაცხადა პირველი ოთხეულის სხვა სამმა წევრმა — სტეფან ედბერგმა, ბორის ბეკერმა და მათს ვილანდერმა.

როგორც ჩანს, არანაკლებ საინტერესო იქნება ქალთა ოლიმპიური ტურნირი, რომელშიც შტეფი გრაფის, მარტინა ნავრატილოვასა და გაბრიელა საბატინის მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს.

## „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 8 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (საგზაო-ტაქციალო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (ფეხბურთი), 21 (ცურვა), 25 (საციგაო სპორტი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 4 (კრივი), 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა).

## „სპორტპროგნოზი“

**29-ე ტირაჟის შედეგები (16–17 ივლისი)**

1—2, 2—X, 3—1, 4—2, 5—2, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—2, 11—X, 12—2, 13—X.

**მოსკოვის** „სპარტაკის“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები:

1—1, 2—X, 3—1, 4—2, 5—X, 6—X, 7—2, 8—2, 9—2, 10—1, 11—X, 12—X, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვა“ — 93-97-27.

ჩვენი ანგარიში 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება იოსებური წესით საგამომცემლო კორპუსში: ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05446